ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 249 (6058)

1977 წ. 21 დეკემბერი, ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„სალუტ-6" სადგური: ეკიპაჟის მუშაობა ღია კოსმოსში

ფრენის მართვის ცენტრი, 20 დეკემბერი (საქინფორმი). „სალუტ-6" ორბიტული სამეცნიერო სადგურის ფრენის პროგრამის შესაბამისად 1977 წლის 20 დეკემბერს კოსმონავტებმა ი. ვ. რომანენკომ და გ. მ. გრეჩკომ განახორციელეს კოსმოსურ სივრცეში გასვლა.

გასვლის ძირითადი ამოცანები იყო გადასასვლელი ნაკვეთურის რაიონში სადგურის კონსტრუქციების გარე ელემენტებისა და იქ მდებარე შესაპირაპირებელი კვანძის მდგომარეობის შემოწმება და კონტროლი, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში სარემონტო ოპერაციების განხორციელება. შესაპირაპირებელი კვანძის კონსტრუქციის ელემენტების შესაძლებელი დაზიანება შეიძლება მომხდარიყო ამა წლის ოქტომბერში სადგურთან „სოიუზ-25" ხომალდის მიდგომის გათვალისწინებული რეჟიმიდან გადახვევის შედეგად.

კოსმოსში გასასვლელად მზადება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. სადგურის გადასასვლელ ნაკვეთურში კოსმონავტებმა ჩაიცვეს ნახევრად ხისტი ტიპის ახალი კონსტრუქციის სკაფანდრები, შეამოწმეს სიცოცხლის უზრუნველყოფის ავტონომიური სარეგენერაციო სისტემების ფუნქციონირება, დაკეტეს გადასასვლელ და სამუშაო ნაკვეთურებს შორის არსებული ლუკი და მოახდინეს გადასასვლელი ნაკვეთურის სრული განჰერმეტიზაცია.

00 საათსა და 36 წუთზე მოსკოვის დროით კოსმონავტებმა გააღეს შესაპირაპირებელი კვანძის ლუკი, და ბორტინჟინერი გ. მ. გრეჩკო სადგურიდან კოსმოსურ სივრცეში გავიდა. ხომალდის მეთაური ი. ვ. რომანენკო, რომელიც განჰერმეტიზებულ გადასასვლელ ნაკვეთურში იმყოფებოდა, კონტროლს უწევდა ბორტინჟინრის მუშაობას.

შესამოწმებელ სამუშაოთა შესრულების დროს კოსმონავტებმა გამოიყენეს სპეციალური სამონტაჟო და საკონტროლო-მარეგულირებელი ინსტრუმენტები. ეკიპაჟმა დაადასტურა შესაპირაპირებელი კვანძი და სადგურის სხვა ელემენტების მოქმედუნარიანობა.

ეკიპაჟი სამუშაოებს აწარმოებდა ორბიტის განათებულ და ჩრდილოვან უბნებზე. კოსმოსში გასვლის დროს ბორტინჟინერმა გ. მ. გრეჩკომ მოძრავი ფერადი სატელევიზიო კამერის საშუალებით დედამიწაზე გადმოსცა სადგურის შესაპირაპირებელი კვანძის ელემენტებისა და ცალკეული ნაწილების გამოსახულება.

სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კოსმონავტებმა დაკეტეს სადგურის ლუკი, ნორმალურ წნევამდე მიიყვანეს ჰაერი გადასასვლელ ნაკვეთურში, გაიხადეს სკაფანდრები, გააღეს შინაგანი ლუკი და გადავიდნენ სადგურის ძირითად ნაწილში.

ღია კოსმოსურ სივრცესა და განჰერმეტიზებულ გადასასვლელ ნაკვეთურში ეკიპაჟის ყოფნის დროს მათთან იყო მყარი რადიოკავშირი.

ერთი საათისა და 28 წუთის განმავლობაში ღია კოსმოსური სივრცის რთულ პირობებში ყოფნის დროს ეკიპაჟმა შეამოწმა აგრეთვე მეთოდები და ახალი კონსტრუქციული გადაწყვეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკიპაჟის გასვლას ღია კოსმოსში. დაათვალიერა გარედან სადგური, მოაწყო პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოები.

ღია კოსმოსური სივრცის პირობებში ყოფნის შემდეგ ამხანაგები ი. ვ. რომანენკო და გ. მ. გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ.

8-დან 16 საათამდე მოსკოვის დროით ორბიტული სადგურის ეკიპაჟი ისვენებდა.

„კლასიკოსთა" კლასიკური გაკვეთილები

ხშირად ხდება, რომ ზოგიერთი ტურნირის წინ გაზეთები წერენ, სტუმართა გუნდში ამა და იმ სახელოვან სპორტსმენს ვიხილავთო. მაგრამ, მაყურებელი გაწბილებული რჩება, როდესაც სარბიელზე იმ სპორტსმენს ვერ ხედავს, ვის სანახავად გაზეთის „სარეკლამო" წერილის წაკითხვის შემდეგ მიდის შეჯიბრებაზე.

ამიტომ იყო, რომ **საქართველოსა და რუმინეთის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა სამატჩო შეხვედრის** წინ გამოქვეყნებულ წერილში დაბეჯითებით არ ვწერდით, თუ სტუმართა საკმაოდ ტიტულოვანი გუნდიდან კერძოდ ვის ვიხილავდით სარბიელზე. ჩვენ მხოლოდ სავარაუდო შემადგენლობა დავასახელეთ, რომელთა შორის თითქმის ყველანი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები იყვნენ.

ვარაუდი გაგვიმართლდა, რუმინელებმა ყველა თავიანთი საუკეთესო „კლასიკოსი" ჩამოიყვანეს მსოფლიო ჩემპიონ ჯინგას (57 კგ), ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორის პაუნისა (62 კგ) და ევროპის ჩემპიონის დრაიცას (82 კგ) გარდა.

მასპინძელთა გუნდიც თითქმის ასეთივე „დოზით" შესუსტებული ჩაება ბრძოლაში.

სხვისი არ ვიცი და, მე ყველაზე სულმოუთქმელად სსრ კავშირის, მოსკოვის უნივერსიადისა და ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონის მ. სალაძის (100 კგ.) გამოსვლას ველოდი. მისი მეტოქე რუმინეთის ჩემპიონი ი. სავინი უნდა ყოფილიყო.

მათი ჭიდილი მინახავს „უნივერსიადა — 77-ზე". ისე, კაცმა რომ თქვას, მაშინ სოფიის სარბიელზე მათი ჭიდაობა ფაქტიურად არც გამართულა. მსაჯმა შერკინების ნიშანი რომ მისცა, ფალავნები წყნარად მივიდნენ ერთმანეთთან. ასევე დინჯად ჩასჭიდეს ხელები ერთმანეთს და მოულოდნელად, ისე ელვისებურად მოხდა ყველაფერი, რომ მაყურებელი გონსაც არ იყო მოსული, როცა მსაჯმა ქართველი ფალავნის ხელი მაღლა აღმართა.

აი, სწორედ ამიტომ ველოდი დიდი ინტერესით სალაძისა და სავინის გამოსვლას თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე.

ბრძოლა დაიწყო.

... როგორც ჩანს, ქართველ ფალავანს კვლავ ელვისებური გამარჯვება განუზრახავს, მაგრამ მის მეტოქესაც ეტყობა, სოფიის გაკვეთილი კარგად ახსოვს და ფრთხილობს. ჭიდილის 24-ე წამია. სალაძე ოსტატური კისრულით ხალიჩაზე აგდებს მეტოქეს და პირველ 3 ქულას იმსახურებს. 58-ე წამზე იგივე ილეთი, კვლავ 3 ქულა. შემდეგ 4 ქულა.

და როდესაც 1 წუთსა და 12 წამის შემდეგ ანგარიში 10:0 იყო სალაძის სასარგებლოდ, ქართველმა ფალავანმა კიდევ ერთხელ მოიქცია რკინის მარწუხებში მეტოქე, ჰაერში კიდევ ერთხელ შეატრიალა რუმინელს კამარა და ძირს დასცა.

სუფთა გამარჯვება!

ამ წონით კატეგორიაში კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართა: ნ. ბაბიაშვილი — პ. დიკუ. ქართველი ფალავანი მსოფლიო ჩემპიონატისა და უნივერსიადის პრიზიორის მაღალ ტიტულებს არ შეუშინდა. ბაბიაშვილმა აშკარა უპირატესობით (14:2) გაიმარჯვა.

100 კგ-ზე მძიმე მოჭიდავეთა გამოსვლას ყველა დიდი ინტერესით ელოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ევროპის ჩემპიონატისა და მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, რუმინელ ვ. დოლიპსკის წინააღმდეგ ევროპისა და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი შ. მორჩილაძე უნდა გამოსულიყო.

ორივენი 27 წლისანი არიან. წინათაც შეხვედრიან ერთმანეთს. ამ შეხვედრებში გამარჯვებაც უგემნიათ და დამარცხებაც.

ამ ორთაბრძოლის მიმართ ჩემს ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ „უნივერსიადა — 77-ზე" დოლიპსკის ერთ-ერთი მეტოქე სსრ კავშირის შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონი ა. მაისურაძე გახლდათ. მაშინ ქართველმა ფალავანმა 4 წუთში სუფთა გამარჯვება იზეიმა. რა მოხდება ახლა?

პირველი ორი ქულა დოლიპსკიმ მოიპოვა. მაგრამ შემდეგ პასიურობა დაიწყო და გაფრთხილებაც

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

სურათებზე: მ. სალაძისა და ი. სავინის შეხვედრის მომენტი. ილეთს ატარებს მ. სალაძე.

ე. ხუცურაულის ფოტო.



ჭადრაკი

გაიმარჯვა სპასკიმ

გუშინწინ ბელგრადში გაიმართა ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის XI პარტია. თეთრებით სპასკი თამაშობდა.

ამჯერად სპასკიმ საუცხოოდ წარმართა შეხვედრა, გამოიყენა მეტოქის შეცდომები და გაიმარჯვა. ეს სპასკის პირველი მოგებაა ამ ორთაბრძოლაში.

X პარტია, რომელიც კორჩნოის ავადმყოფობის გამო შაბათს არ შედგა, გუშინ გვიან საღამოს დამთავრდებოდა.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 6,5:3,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

გულკო, პეტროსიანი თუ დორფმანი?

ლენინგრადი, სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი.

XIV ტური: გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ო. რომანიშინი 0,5:0,5, ი. დორფმანი (ორივე — ლვოვი) — ა. კოჩიევი (ლენინგრადი) 0,5:0,5, ტ. პეტროსიანი (მოსკოვი) — ე. გელერი (მოსკოვის ოლქი) 0,5:0,5, ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი) — ბ. გულკო (მოსკოვი) 0,5:0,5, ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — მ. ტალი (რიგა) 0:1. გადაიდო ქ. გრიგორიან — ი. ბალაშოვის (ორივე — მოსკოვი), ვ. ბაგიროვ (ბაქო) — ლ. ალბურტის (ოდესა) და ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი) — ვ. სმისლოვის (მოსკოვი) პარტიები.

14 ტურის შემდეგ ბ. გულკოს 9 ქულა აქვს, ტ. პეტროსიანსა და ი. დორფმანს — 8,5-8,5, მ. ტალს — 8, ლ. პოლუგაევსკის — 7 ქულა და 2 გადადებული პარტია, ე. გელერს — 7 (1), ო. რომანიშინს — 7.

ჩემპიონატში მხოლოდ დასკვნითი, XV ტური დარჩა სათამაშო. მანამდე მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, რომელიც საბოლოოდ გაარკვევს ვის შეხვდება ოქროს, ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედალი. დღეს, XV ტურში ყველაზე საინტერესო გულკო — პეტროსიანის შეხვედრა იქნება.

XIV ტურში გულკოცა და პეტროსიანიც ყაიმს დასჯერდნენ. გულკოს არ უცდია ბრძოლის გართულება, მშვიდობიანად გაითამაშა ლაზიერის გამბიტი სვეშნიკოვთან პარტიაში და 31-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. გელერმა თავიდანვე არ მისცა პეტროსიანს აქტიური თამაშის საშუალება, მდგომარეობა თანდათან გამარტივდა და აქაც ყაიმი აღინიშნა.

დორფმანს კი ბრძოლა მოუხდა კოჩიევის მძაფრი ტაქტიკური თამაშის წინააღმდეგ. ჭაბუკმა დიდოსტატმა მას ხან პაიკი, ხან ხარისხი შესთავაზა, რომელთა აყვანას სახიფათო თამაში მოჰყვებოდა. დორფმანმა „დანაის ხარკზე" უარი თქვა და სასურველ ყაიმს მიაღწია.

უშეღავათო მოჭადრაკეა ტუკმაკოვი. იგი მუდამ მიილტვის ბრძოლისკენ. ტალსაც ეს უნდოდა და მათ შეხვედრაში საინტერესო გართულებები გაინასკვა. ტუკმაკოვმა უკვე მე-10 სვლაზე ფიგურა შესწირა და ცენტრში დარჩენილ რიგელ დიდოსტატის მეფეს შეუტია. მაგრამ ტალი უნარიანად იგერიებდა თავდასხმას. ბოლოს თავად გადავიდა ძლიერ შეტევაზე და 25-ე სვლაზე გაიმარჯვა კიდეც.

მწვავე პოზიციაშია შეწყვეტილი ბალაშოვ — გრიგორიანის პარტია. ბაგიროვს ზედმეტი პაიკი აქვს ალბურტთან. პოლუგაევსკიც ინარჩუნებს ზედმეტ პაიკს სმისლოვთან, მაგრამ ეტლების ენდშპილის გამო სმისლოვს ყაიმის შანსი აქვს.

ჩემპიონები დაწინაურდნენ

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲨᲘ უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ჩემპიონატის განახლებისთანავე ლიდერთა ოთხეულიდან სამმა კოლექტივმა მარცხი განიცადა. მხოლოდ ჩემპიონმა — მოსკოვის არმიელთა გუნდმა მიაღწია წარმატებას — სატურნირო ცხრილში მეზობლად მყოფი რიგის ვეფ-ს მოუგო (120:92) და ერთპიროვნულ ლიდერად მოგვევლინა. ახლა არმიელებს ექვსიდან ხუთი ქულა აქვთ.

თბილისის დინამოელებისთვის რიგის არმიელებთან შეხვედრის დასაწყისი უილბლო გამოდგა. მატჩის პირველ ნახევარში თბილისელებმა ვერ იქნა და ვერ ააწყვეს თამაში, რის გამო ტაიმი 11 ქულით წააგეს (45:56). შესვენების შემდეგ „დინამო" მთლიანად გარდაიქმნა, მაგრამ საბოლოოდ ჩემპიონატში მეორე დამარცხება იწვნია — 95:97.

დინამოელთა ბედი გაიზიარა კიდევ ერთმა ლიდერმა — ლენინგრადის „სპარტაკმა", რომელიც იმ დღეს ტალინის „კალევს" ეთამაშებოდა. ამ შეხვედრაში „კალევი" მუდამ წინ იყო 2-3 ქულით და საბოლოოდ გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა — 75:73 (41:38).

შეხვედრების სიმძაფრე იმანაც განაპირობა, რომ კაუნასის ტურის შემდეგ შეირჩევა 8 უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლებას მიიღებენ. ამ რვას შორის მოხვედრა კი ჯერ კიდევ რამდენიმე კოლექტივს შეუძლია.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სტროიტელი" (კიევი) — „სპარტაკი" (ვლადივოსტოკი) 91:75 (43:39), „ჟალგირისი" (კაუნასი) — რტი (მინსკი) 116:105 (59:56), „დინამო" (მოსკოვი) — „სტატიბა" (ვილნიუსი) — 103:88 (54:38).

ხინჯს—სწრაფად გასწორება!

სპორტული ინვენტარი... სატრაქტორო პარკში

საქართველოს მანქანათა საგამოცდო სადგური, რომელიც საკავშირო გაერთიანება „სოფლტექნიკას“ ექვემდებარება, ერთადერთია რესპუბლიკაში, რომელსაც სახალხო მეურნეობაში უახლესი მანქანა-იარაღების დანერგვით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს.

როცა ეს ორგანიზაცია თბილისის ძველთაძველ უბანში — დიღომში იყო, აქ მშრომელთა მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობაც სათანადო დონეზე იდგა: ჰყავდათ კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის გუნდები. ხშირად იმართებოდა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. დოსააფის პირველადი ორგანიზაცია სროლის დანერგვისთვის სისტემატურად ზრუნავდა...

მერე საგამოცდო სადგური მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში გადაიტანეს. თითქოს უკეთესი პირობებიც შეუქმნეს. არც ფიზკულტურული მუშაობა იყო დავიწყებული. სპორტული დარბაზი სათანადოდ გახლდათ აღჭურვილი: შვედური კედელი, ლერძი და ორძელი, მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი, შტანგა, ლეიბები. მხოლოდ მონდომებაღა აკლდათ, მაგრამ აი, სწორედ ეს მონდომება არავის აღმოაჩნდა. **დირექციამ სპორტდარბაზი გააუქმა. ინვენტარი სატრაქტორო პარკში გადაზიდეს, დარბაზი კი ლაბორატორიად გადააკეთეს (?!).**

ახლა იქ აღარავინ ზრუნავს მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისთვის. თავს იმართლებენ: შრომის სპეციფიკა ჯგუფების მეცადინეობის, შეჯიბრებებში მონაწილეობის საშუალებას არ იძლევაო. მართლაც, აქ ხშირი მივლინებების გამო თანამშრომელთა ნაწილი ადგილზე არ არის. მაგრამ, რა დააშავეს მათ, ვინც უფრო ხშირად სადგურში იმყოფება, ხომ შეძლეს ახალგაზრდებმა თ. ბუხრაშვილმა, ვ. ზაქაიძემ, დ. წულაძემ, ი. შარტავამ, უ. მელაძემ, ქ. შავგულიძემ, რ. სტეფანიშვილმა, კ. ხუბაშვილმა, ვ. მალცევმა და სხვებმა მთავარი ფასადის წინ ფრენბურთის მოედნის მოწყობა? ახლა ამ ერთადერთ ბაზაზე ხშირად ნახავთ მობურთალებს.

მანქანათა საგამოცდო სადგურის დირექციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ და პროფკავშირმა გულთან უნდა მიიტანონ მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის ფართოდ გაშლის შესახებ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილება.

თ. ქიქავა.

უპატრონოდ მიტოვებული

გულრიფშის რაიონის თითქმის ყველა სკოლაში ჩამოყალიბებულია ფეხბურთელთა გუნდი, მაგრამ რაიონში სერიოზული კრიზისია სავარჯიშო მოედნების მხრივ და მდგომარეობის გამოსწორებას პირიც არ უჩანს. განსაკუთრებით სავალალოა ის, რომ გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის (ეს სოფელი ყველაზე დიდია მთელ რაიონში) ახალგაზრდობას ჰქონდა კეთილმოწყობილი, შემოკავებული სტადიონი, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით ისიც ზედმეტად ჩათვალეს და მინდორზე საშუალო სკოლის შენობა წამოჭიმეს.

საკითხავია, სოფელ დრანდაში მცხოვრებმა ახალგაზრდობამ რა ჰქნას, სად უნდა ივარჯიშოს, რითი უნდა გაერთოს. ანდა რატომ არ გაითვალისწინეს ახალგაზრდების სურვილი, რომ სადმე სხვა ადგილას მოეწყოთ სტადიონი. სოფელ კოდორში არის შესანიშნავი ფეხბურთის მინდორი, რომელიც ბაბუშერის ხე-ტყის გადასამუშავებელ კომბინატს ეკუთვნის. სარბიელი, სადაც ადგილობრივი ფეხბურთელების გარდა საწვრთნელ ვარჯიშს გადიოდნენ უმაღლესი ლიგის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებიც, უპატრონოდაა მიტოვებული.

დღეისათვის სტადიონი გავერანებულია და პირუტყვის სათარეშოდაა ქცეული. სტადიონის წინ არის საშუალო სკოლა, ამ სურათს გულხელდაკრეფილი შესცქერიან სტადიონთან მდებარე სკოლისა და კოდორის კომბინატის მესვეურები.

შ. ჯალაღონია.

ჩვენი გამოსვლის შემდეგ

„ლელოს“ 1977 წლის 26 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ათი წლის ტოლი საქმე“, რომელშიც საუბარი იყო ქობულეთის ფეხბურთის სტადიონის გაჭიანურებულ მშენებლობაზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანმა **რ. გუნთაიშვილმა** რედაქციას აცნობა, რომ **წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად სწორია.** მიმდინარე წლის 11 ნოემბერს რაიკომის ბიურომ განიხილა შემოწმების შედეგები, პრინციპულად იმსჯელა იმ პირებისა და ორგანიზაციების მუშაობაზე, რომელთა მიზეზითაც გაჭიანურდა სტადიონის მშენებლობის განახლება. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მიღებული დადგენილების თანახმად, სტადიონის კაპიტალური შეკეთება უახლოეს დროში დაიწყება.

„ლელოს“ პასუხი...

შეკითხვა: სად და როგორ შეიძლება დავეუფლო კალათბურთში მსაჯობას?

თ. შავდია.
თბილისი.

პასუხი: პირველ ყოვლისა, დახმარება უნდა გაგიწიოთ თქვენი ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ. დახმარებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ როგორც რაიონის, ისე თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს.

საღაა ზღვარი?

ფიგურული ციგურაობის დიდოსტატებმა ლუდმილა პახომოვამ და ალექსანდრე გორშკოვმა შარშან ზამთარში დასტოვეს სარბიელი. მილიონობით ტელემაყურებელი ტკბებოდა მათი ნატიფი ხელოვნებით, მუსიკალობით, მხატვრული გემოვნებით. გამოსათხოვარი საღამო სევდიანი იყო. სპორტსმენებმა ჩვეული ვირტუოზობით შეასრულეს თავიანთი ნაქები ტანგო და რუმბა. ყველამ კიდევ ერთხელ იგრძნო მოციგურავეთა განუმეორებელი ოსტატობა და მათთან განშორების სინანული. ამ შესანიშნავი წყვილის ცეკვები ყინულზე ლეგენდად დარჩება.

რა მოხდა, რატომ შეწყვიტეს მათ თავიანთი წარმტაცი მოღვაწეობა ასე მოულოდნელად, შემოქმედების ზენიტში? მათ ხომ ჯერ ვერავინ შეეცილებოდა ჩემპიონობას?

ლ. პახომოვამ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ ფურცლებზე ასე განუმარტა ქომაგებს თავიანთი ნაბიჯი: „ჩვენ რამდენიმეჯერ მოვიპოვეთ სსრ კავშირის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა ტიტულები. ეს იყო ჩვენი მიზანი. რაკი საწადელს მივაღწიეთ, სარბიელიც სხვას დავუთმეთ. ჩვენ, უფრო სწორად მე, მწვრთნელის საქმიანობას მოვკიდებ ხელს“.

არ გვჯერა, რომ შეიძლება ასე უბრალოდ დიდების მწვერვალზე მყოფმა თავი დაანებოს აქტიურ სპორტულ ცხოვრებას. მაშინ, როცა საკმაოდ ბევრი, არამც თუ ახალგაზრდა, ხანგადასული სპორტსმენიც ვერ ელევა სარბიელს.

პახომოვასა და გორშკოვის გადაწყვეტილებამ სპორტული მიმომხილველებიც დააფიქრა, ვარაუდობდნენ, იქნებ გორშკოვს გულმა უღალატა, როგორც შარშანწინ ამერიკაში მსოფლიო პირველობაზეო, მაგრამ ავადმყოფობა რა დასამალია, მით უმეტეს, რომ მის შესახებ ქვეყანამ იცის. მათ ნაბიჯს სხვა ახსნა სჭირდება.

XIX საუკუნის გენიალურმა უნგრელმა პიანისტმა ფერენც ლისტმა ერთხელ თქვა: „დიდია ის არტისტი, რომელიც მაშინ სტოვებს სარბიელს, როცა გრძნობს, რომ შემდგომში უკეთესი ვეღარ იქნება. მაყურებლის თვალშიც ბრწყინვალე შემოქმედად რჩება, თუმცა წასვლით მძაფრი სინანულის გრძნობას იწვევს“.

იქნებ ამ სიტყვებში ვეძებოთ შესანიშნავ მოციგურავეთა ნაბიჯის ჭეშმარიტი ახსნა? ჯერ არავის დაუდგენია, როდის უნდა დასტოვოს სპორტსმენმა სარბიელი. დღემდე ამ მომენტს ასაკი განსაზღვრავდა. სპორტი ახალგაზრდის ასპარეზია. მხოლოდ მას ემორჩილება წამები, მეტრები, კილოგრამები... მაგრამ ზოგი ასაკგადაცილებული სპორტსმენი დიდხანს ინარჩუნებს ვაჟკაცურ შემართებას, მაგალითად, ინგლისელი ფეხბურთელი მეთიუზი 50 წლამდე თამაშობდა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც განაგრძობენ მოღვაწეობას, თუმცა წარმატებას კი ვეღარ აღწევენ. ისინი საბოლოოდ გონზე, ცხოვრებას მოჰყავს.

როგორც ჩანს, მხოლოდ დიდმა სპორტსმენებმა იციან, როდის გამოეთხოვონ აქტიურ მოღვაწეობას. ამ მომენტს ისინი ჩვენთვის აუხსნელი გუმანით, შინაგანად გრძნობენ. წასვლას უკარნახებთ თავმოყვარეობა, სპორტისადმი დიდი სიყვარული. გადაწყვეტილების მიღება, რა თქმა უნდა, ეჭვთან, შინაგან ბრძოლასთანაა დაკავშირებული. მაგრამ მტკიცე ნებისყოფა, რაც მათს წარმატებებში მთავარ როლს თამაშობდა, აუცილებლობის შეგრძნება უადვილებთ ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის დაძლევას.

მივმართოთ მაგალითებს. პელეს უჭკნობი საფეხბურთო ტალანტი რომ აღიარეს, ის „ფეხბურთის მეფედ“ გამოაცხადეს. მალე ბრაზილიელმა „ჯადოქარმა“ საქვეყნოდ განაცხადა, რომ სტოვებს დიდ ფეხბურთს. არავის სჯეროდა, რომ დიდების მწვერვალზე მყოფი პელე გამოეთხოვებოდა მწვანე მინდორს. მას არც ჯანი, არც სიმარჯვე აკლდა. ერთხელ დიდმა თხოვნამ, საკუთარმა ეჭვებმა დაიყოლიეს დაბრუნებოდა ნაკრებს, მაგრამ მალე კვლავ განუდგა დიდ ფეხბურთს, რაც ყველამ პელეს შეცდომად მიიჩნია. დღესაც ასე ფიქრობს მილიონობით ფეხბურთის თაყვანისმცემელი. ეს შეხედულება ალბათ ბევრს კიდევ უფრო განუმტკიცა პელეზე ამერიკელი კინოდოკუმენტალისტების ფილმმა, რომელიც საქართველოს ტელევიზიამ ორჯერ აჩვენა „სპორტულ „კალეიდოსკოპში“. მართლაც, ფილმში 34 წლის პელე — ნიუ იორკის „კოსმოსის“ მოთამაშე, კვლავ მარჯვე „შავი აფთარია“. მაგრამ დიდი ფეხბურთელი არ შემცდარა, გრძნობდა, რომ იგი აღარ იყო შვეციის, ჩილესა და ინგლისის მსოფლიო პირველობების დროინდელი პელე. უკეთესად ვერ შეძლებდა თამაშს, ამიტომ ამას წინათ საბოლოოდ განერიდა დიდ სარბიელს.

ალბათ გახსოვთ ფიგურული ციგურაობის ვირტუოზები. გაბი ზაიფერტი და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი პეგი ფლემინგი. მათ თავიანთი ტალანტის აყვავების პერიოდში დაამთავრეს სპორტული კარიერა. უფრო ადრე დაუმარცხებლად დასტოვა სარბიელი ახალგაზრდა მძიმეწონოსანმა მოკრივემ მსოფლიო ჩემპიონმა როკი მარჩიანომ.

სახელგანთქმულმა ტანმოვარჯიშე ვიქტორ ჩუკარინმაც ნაადრევად მიანება თავი ვარჯიშს, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ყველა, მაგრამ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ალბათ ჰქონდა თავისი მოსაზრებები, როცა მწვრთნელად მუშაობა გადაწყვიტა. ჩუკარინს არ აკლდა სიმამაცე, სიჩაუქე, მაგრამ დიდი სპორტისკენ მიმავალ გზას ახალგაზრდები გაუყენა.

დროულად დათმო დიდი სარბიელი, ყველას როდი შეუძლია ეს. გადაწყვეტილება არც ნაადრევი, არც დაგვიანებული არ უნდა იყოს. ერთხელ ნონა გაფრინდაშვილმა თქვა: „როცა ვიგრძნობ, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩის მოგებას ვერ შევძლებ, არც ვითამაშებ მას“. მაგრამ ძნელია იგრძნო და აღიარო ეს მომენტი. ადამიანი, მით უფრო სპორტსმენი, ოპტიმისტია, მას მუდამ სწამს გამარჯვებისა. ასეთი რომ არ იყოს, არც ეღირებოდა სარბიელზე გამოსვლა, მაგრამ ზოგჯერ ეს კეთილშობილური გრძნობა გამოცდილ სპორტსმენებსაც ატყუებს. იგი ვერ ერევა ცდუნებას, ანდა ცხოვრება აიძულებს გულშემატკივრებს დაანახოს თავისი „მზის ჩასვენება“. ასეთი რამ უფრო ხშირად ბურჟუაზიულ სპორტში ხდება. გავიხსენოთ ბრაზილიური ფეხბურთის კიდევ ერთი ვარსკვლავი გარინჩა. ბრწყინვალე გარემარბი მსოფლიოს სტადიონებს რომ აგუგუნებდა, თანდათან სულ უფრო ჰკარგავდა 60-იანი წლების გარინჩას თამაშის კლასს. დიდოსტატი არსებობისთვის იბრძოდა, თუმცა სიღარიბეს მაინც ვერ დააღწია თავი.

კიდევ და კიდევ შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები დიდი სპორტსმენების ცხოვრებიდან. ნამდვილად არავინ იცის ის ზღვარი, ის მომენტი, როდესაც სპორტსმენმა წერტილი უნდა დაუსვას თავის აქტიურ მოღვაწეობას. მეცნიერებას ამ მიმართებით ჯერ გადამწყვეტი სიტყვა არ უთქვამს. ეს საკითხი, ჩვენი აზრით, არც თუ სასხვათაშორისო პრობლემაა.

ვფიქრობთ, არ შემცდარა გენიალური უნგრელი მუსიკოსი. ლეგენდად, კარგ მოგონებად რჩება დიდი სპორტსმენების ოსტატობა. ასე სიამაყის გრძნობით ვიხსენებთ ბორის პაიჭაძის, გივი კარტოზიას, ოთარ ქორქიას, მიხეილ მესხისა და ბევრი სხვა, ჩვენი თაობის დიდებული ქართველი სპორტსმენის გმირობას.

თ. გიორგაძე.

„მამა, დედა და მე“

— მამა, დედა და მე — სპორტული ოჯახია! — თქვა ესტონეთის ფიქლის აუზის ცენტრში, ქალაქ კოხტლა-იარვაში მცხოვრებმა მეექვსეკლასელმა ტინუ ტამმა. ტამებმა — მამამ (შახტის „ესტონეთი“ ცვლის უფროსი), დედამ (აფთიაქარი) და ოჯახური გუნდის კაპიტანმა ტინუმ ამ „განცხადების“ ჭეშმარიტება სპორტული ოჯახების საქალაქთაშორისო შეჯიბრებაში დაამტკიცეს.

ლენინგრადის ტელევიზია დიდი ხანია აწყობს ასეთი შეჯიბრებების ტრანსლაციას. აქამდე ამ საინტერესო ასპარეზობაში მხოლოდ ლენინგრადის საწარმოების მუშათა ოჯახები მონაწილეობდნენ. ახლა კი პირველი შეხვედრა მოეწყო სტუმრად.

საქალაქთაშორისო ასპარეზობა ფიქლის აუზში ჩატარდა და უპირატესობა ამჯერად სპორტის საწყლოსნო სახეობებს მიენიჭა.

მაყურებელთა მხიარული სიცილი და ძალთა დიდი დაძაბვა გამოიწვია თავისუფალი სტილით, ბრასითა და წყალქვეშ ცურვამ, შეღებილშუშიანი ნიღბით ბურთის თამაშმა, მეტოქეთა წინააღმდეგობის მიუხედავად რეზინის ნავების ბუქსირზე აყვანამ.

ტამების ოჯახი ფიზკულტურასა და სპორტს დიდი ხანია მისდევს. მშობლებმა, რომლებიც ზამთრობით თხილამურებით სეირნობენ, ციგურებით სრიალებენ, ზაფხულობით კი ბევრს ცურავენ და ტურისტულ ლაშქრობებში დადიან, შვილებსაც შეაყვარეს სპორტი. ამ ოჯახური „გუნდის“ აღიარებული ლიდერია უფროსი ქალიშვილი ტიია, რომელსაც, საოჯახო შეჯიბრების დებულების თანახმად (იგი პირველი ესტონელი ქალიშვილია, რომელმაც საზაფხულო მშდ მრავალჭიდის საკავშირო პირველობაში მედალი დაიმსახურა) არ შეეძლო ასპარეზობაში მონაწილეობა და ტრიბუნიდან გულშემატკივრობდა დედ-მამას და ძმას.

— ჩვენთან ბევრი სპორტული ოჯახია, — საკდესის კორესპონდენტს უთხრა საწარმოო გაერთიანება „ესტონსლანეცის“ ფიზკულტურისა და სპორტის მეთოდისტმა მ. იარვისმა — მალე შეხვედრებს ლენინგრადში, ტალინსა და სხვა ქალაქებში გავმართავთ.

მ. იშოვი.
საკდესის კორ.

კოხტლა-იარვა.
ესტონეთის სსრ.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

9-იდან 18 წლამდე ასაკის რვაასამდე ბიჭუნა და გოგონა ვარჯიშობს მოსკოვის საბჭოთა რაიონის № 1 ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში. ეს არის ერთი იმ 5648 სპორტსკოლიდან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ბავშვებისთვისაა გახსნილი.

●

მონადირეები და მეირმეები მურმანსკში ტრადიციულ დღესასწაულზე ყოველ გაზაფხულზე იკრიბებიან. დღესასწაულის მთავარი ასპარეზობაა ირემშებმული მარხილებით რბოლები (სურათი მარჯვნივ).

სადღესის ფოტოქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კლასიკოსთა“ კლასიკური გაკვეთილები

ჭიდაობა

დასასრული

დაიმსახურა. „საჭიდაო ხალიჩის ვარსკვლავი“ კი, როგორც შოთას ძველმა თანაგუნდელმა, ლენინგრადელმა ა. გორნაკოვმა უწოდა, ნიადაგ ილეთის ჩატარებას ცდილობდა და ქულებსაც თანდათან აგროვებდა. მორჩილაძემ ორჯერ წამოიწყო „ნახევარსუფლექსი“, მაგრამ ბოლომდე კარგად ვერ შეასრულა და კინაღამ ბოლომდე წამოეგო თავისსავე ილეთზე. ასეთ დროს, სხვა მოჭიდავეს, შესაძლოა, ნერვიულობა დაეწყო და საერთოდ ხელი აეღო ამ ილეთზე. მაგრამ მაშინ, როდესაც ქართველი ფალავანი 8:6 იგებდა (ამ დროს ქრონომეტრი 8 წუთსა და 11 წამს უჩვენებდა), კიდევ ერთხელ გაიმეორა „ნახევარსუფლექსი“, რამაც, ბოლოსდაბოლოს სუფთა გამარჯვება მოუტანა.

შეჯიბრების დასასრულს საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი დ. დავითაია გვეტყვის, რომ ნოემბრის საუკეთესო სპორტსმენმა დიდი გამოცდილებით გაიმარჯვაო. მწვრთნელმა სპორტის სასახლეში გამართული ბრძოლებიდან გ. მაჭარაშვილსა და შ. ნეგრიშინის შერკინებაც გამოჰყო. მწვრთნელი აღფრთოვანებული იყო, რომ ახალგაზრდა, პერსპექტიულმა კლასიკოსმა 2 წუთსა და 19 წამში ბრწყინვალედ მოუგო რუმინელს.

სხვათა შორის, ვიდრე გურამი სუფთა გამარჯვებას იზეიმებდა, მანამდე კარგა გვარიანად (11:0) დაწინაურდა. გურამმა პირველი გამარჯვება მოუტანა საქართველოს გუნდს. არადა, შეჯიბრების დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა ქართველ ფალავანთა ნაკრებს. ზოგიერთ სპეციალისტს ხელი უიმედოდ ჰქონდა ჩაქნეული, აქაოდა სტუმრებმა ერთობ ძლიერი და ტიტულოვანი გუნდი ჩამოიყვანესო.

დებიუტი მართლაც უიღბლო გამოდგა: პირველად სარბიელზე... 82 კგ. წონის მოჭიდავეები გ. ყუბუსიძე და ი. ენაკე იხმეს. ტრადიცია მხოლოდ იმიტომ დაირღვა, რომ ენაკე კიდევ ერთხელ უნდა გამოსულიყო სარბიელზე. ამჯერად თ. აფხაზავასთან პირისპირ. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც იყო, რომ ენაკე პირველ გამოსვლაში აშკარად პასიურობდა და მეორე ბრძოლისთვისაც ზოგავდა ძალას. ასე იყო თუ ისე, ენაკემ გაიმარჯვა (6:4).

სპეციალისტთა აზრით, ყუბუსიძეს გამარჯვება შეეძლო. მაგრამ, ეტყობა, ენაკეს ძალზე დაეხმარა გამოცდილება.

28 წლის ენაკე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორია, ხოლო მისი მეტოქე 9 წლით უმცროსია და როგორც იტყვიან, მომავალი წინ აქვს.

ამრიგად, პირველ შერკინებაში რუმინელები დაწინაურდნენ — 1:0.

დანარჩენი ბრძოლები თავისი კალაპოტით წარიმართა.

48 კგ. თ. ხაზარაშვილი — კ. ალექსანდრუ. 18 წლის ქართველი ფალავანი სსრ კავშირის II ახალგაზრდული თამაშების პრიზიორია და ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. რუმინელი 24 წლისაა და მისი მედლების კოლექციაში ევროპის ჩემპიონის 3 ოქროს და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ინახება.

თავიდან ქართველი სპორტსმენი დაწინაურდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავსო და ალექსანდრუმ კლასიკური ჭიდაობის კლასიკური მაგალითი გვიჩვენა — სუფთად გაიმარჯვა.

2:0 რუმინელთა სასარგებლოდ.

სარბიელზე ახლა ვ. ბაგაევი და ი. დულიკო იხმეს.

ასაკში აქაც თითქმის ისეთივე განსხვავებაა. რაც შეეხება ტიტულებს, რუმინელი მსოფლიო ჩემპიონი გახლავთ, ხოლო ბაგაევი სსრ კავშირის II ახალგაზრდული თამაშებისა.

სასწაული არც აქ მომხდარა. დულიკომ შესანიშნავად იჭიდავა და დამაჯერებლად (10:3) გაიმარჯვა.

3:0 რუმინელთა სასარგებლოდ.

აი, სწორედ აქ იყო, რომ მაჭარაშვილმა პირველი გამარჯვება მოგვიტანა და საქართველოს გუნდს წარმატების პირველი ნაპერწკალი გაუჩნდა. მაგრამ ევროპის ჩემპიონატისა და მონრეალის ოლიმპიური თამაშების II პრიზიორმა შ. რუსომ თ. წინწალაშვილის წინააღმდეგ დიდებულად იჭიდავა და საბოლოო გამარჯვება ისევ საეჭვო გახდა. რუსომ აშკარა უპირატესობით (11:0) მოიგო.

4:1 რუმინელთა სასარგებლოდ.

რუსოსა და წინწალაშვილის ორთაბრძოლას საოცრად ჰგავდა ა. აფრიამაშვილისა და გ. მინეას პაექრობა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ როლები შეიცვალა და ჩვენმა თანამემამულემ მართლაც აშკარა უპირატესობით (15:0) გაიმარჯვა.

4:2 რუმინელთა სასარგებლოდ.

სარბიელზე კვლავ ენაკე იხმეს. აფხაზავამ ყუბუსიძის დამარცხებისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო — აშკარა უპირატესობა!

4:3 — სხვაობა კიდევ უფრო შემცირდა.

რუმინეთის ჩემპიონი ლ. ეიზეკი — საქართველოს ჩემპიონი გ. დონდუზაშვილი. ეს ორთაბრძოლა ყველაზე თანაბარი გამოდგა. სამაგიეროდ, დონდუზაშვილის მცირე უპირატესობამ (2:1) საქართველოს ნაკრებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა.

4:4! დანარჩენი მკითხველმა უკვე იცის.

რუმინელებს 52 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მონაწილე არ გამოუყვანიათ და ამიტომ მასპინძლებს უბრძოლველად მიეკუთვნათ 1 მომგებიანი ქულა.

ამრიგად, ეს საინტერესო მატჩი ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებით — 8:4 დამთავრდა.

ა. გურასაშვილი.

ნ. ლაუდა
(ავტომრბოლელი)

ა. ხუანტორენა
(მძლეოსანი)

ბ. ბორგი
(ჩოგბურთელი)

რ. აკერმანი
(მძლეოსანი)

ი. შევინსკა
(მძლეოსანი)

კ. ევერტი
(ჩოგბურთელი)

წლის საუკეთესო სპორტსმენები

„დაასახელეთ 1977 წლის საუკეთესო სპორტსმენები?“ — ასეთი კითხვით მიმართა ვარშავის გაზეთ „შპეგლონდ სპორტოვის“ რედაქციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთების სპორტულ მიმომხილველებს. აი, პასუხებიც.

ბუენოს აირესის „რევისტა გოლესი“ (არგენტინა)

1. გილერმო ვილასი (არგენტინა), 2. ნიკი ლაუდა (ავსტრია), 3. ალბერტო ხუანტორენა (კუბა).

1. ვირჯინია უეიდი (ინგლისი), 2. პეტრა ტუემერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), 3. როზემარი აკერმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

მელბურნის „ჰერალდ ენდ ვეკლი“ (მელბურნი)

1. ლაუდა, 2. პელე (ბრაზილია), 3. ვასილ ალექსეევი (საბჭოთა კავშირი).

1. უეიდი, 2. აკერმანი, 3. ირენა შევინსკა (პოლონეთი).

ლინცის „ობეროსტერრაინიშე ნახრიხტენი“ (ავსტრია)

1. ლაუდა, 2. ხუანტორენა, 3. პელე.

1. აკერმანი, 2. ლიზემარი მორეროდი (შვეიცარია), 3. შევინსკა.

ბრიუსელის „სპორტ-მეგეზინი“ (ბელგია)

1. ლაუდა, 2. ხუანტორენა, 3. ბიორნ ბორგი (შვეცია).

1. აკერმანი, 2. კრის ევერტი (ამერიკის შეერთებული შტატები), 3. მორეროდი.

ლა პასის „პრესენსია“ (ბოლივია)

1. ვილასი, 2. ლაუდა, 3. კარლოს მონზონი (არგენტინა).

1. ბრიგიტა ტრაიბერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), 2. უეიდი, 3. აკერმანი.

რიო-დე-ჟანეიროს „ო. გლობო“ (ბრაზილია)

1. ბორგი, 2. ლაუდა 3. ხუანტორენა.

1. აკერმანი, 2. შევინსკა, 3. ევერტი.

პრაღის „ჩესკოსლოვენსკი სპორტი“ (ჩეხოსლოვაკია)

1. ხუანტორენა, 2. ლაუდა, 3. ვლადიმერ იაშჩენკო (საბჭოთა კავშირი).

1. აკერმანი, 2. შევინსკა, 3. მერილიზ ოელსნერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

კოპენჰაგენის „ტაგესცეიტუნგ ბ.ტ.“ (დანია)

1. ლაუდა, 2. ბორგი, 3. ინგემარ სტენმარკი (შვეცია).

1. უეიდი, 2. აკერმანი, 3. ირინა როდნინა (საბჭოთა კავშირი).

ჰელსინკის „უუსი სუომი“ (ფინეთი)

1. პერტი უკოლა (ფინეთი), 2. ედვინ მოზესი (ამერიკის შეერთებული შტატები), 3. ხუანტორენა.

1. აკერმანი, 2. როდნინა, 3. მორეროდი.

ჰილვერსუმის „ავროს სპორტპანორამა“ (ჰოლანდია)

1. ლაუდა, 2. ბორგი, 3. მოზესი.

1. აკერმანი, 2. ოელსნერი, 3. ტრაიბერი.

ბარსელონის „დიცენი“ (ესპანეთი)

1. ლაუდა, 2. ხუანტორენა, 3. ბორგი.

1. აკერმანი, 2. ტუემერი. 3. ევერტი.

ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ (იუგოსლავია)

1. ხუანტორენა, 2. ლაუდა, 3. ბორგი.

1. აკერმანი, 2. ევერტი, 3. შევინსკა.

მონრეალის „მონრეალ სტარი“ (კანადა)

1. ლაუდა, 2. პელე, 3. ხუანტორენა.

1. აკერმანი, 2. როდნინა, 3. ევერტი.

პარიზის „ეკიპი“ (საფრანგეთი)

1. ხუანტორენა, 2. იაშჩენკო, 3. ბორგი.

1. აკერმანი, 2. ევერტი 3. ტუემერი.

„ლიხტენ შტაინერ ფოლკსბლატი“ (ლიხტენშტაინი)

1. ხუანტორენა, 2. ბორგი, 3. დიტრიხ ტურაუ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

1. აკერმანი, 2. ევერტი, 3. შევინსკა.

ლუქსემბურგის „ტაგბლატი“ (ლუქსემბურგი)

1. ხუანტორენა, 2. ლაუდა, 3. მოზესი.

1. აკერმანი, 2. ოელსნერი, 3. შევინსკა.

აც (ნამიბია)

1. ლაუდა, 2. პელე, 3. ვილასი.

1. აკერმანი, 2. ოელსნერი, 3. ბილი-ჯინ კინგი (ამერიკის შეერთებული შტატები).

ველინგტონის „ივნინგ პოსტი“ (ახალი ზელანდია)

1. ლაუდა, 2. პელე, 3. მონზონი.

1. უეიდი, 2. აკერმანი, 3. ოელსნერი.

ოსლოს „აფტენპოსტენი“ (ნორვეგია)

1. ბორგი. 2. ხუანტორენა, 3. ლაუდა.

1. აკერმანი, 2. შევინსკა, 3. ევერტი.

ლისაბონის „რეკორდი“ (პორტუგალია)

1. ბორგი, 2. ლაუდა, 3. სტენმარკი.

1. აკერმანი, 2. ევერტი, 3. როდნინა.

ნიურნბერგის „კიკერ-შპორტმეგეზინი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

1. ხუანტორენა, 2. ბორგი, 3. გერჰარტდ მოერკენი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

1. შევინსკა, 2. აკერმანი, 3. ოელსნერი.

ბუქარესტის „სპორტული“ (რუმინეთი)

1. ხუანტორენა, 2. იაშჩენკო, 3. ლაუდა.

1. აკერმანი, 2. ნადია კომანეჩი (რუმინეთი), 3. ოელსნერი.

ციურიხის „შპორტი“ (შვეიცარია)

1. ხუანტორენა, 2. ბორგი, 3. სტენმარკი.

1. აკერმანი, 2. ოელსნერი, 3. მორეროდი.

სტოკჰოლმის „სვენსკა დაგბლატი“ (შვეცია)

1. ხუანტორენა, 2. ბორგი, 3. მოერკენი.

1. აკერმანი, 2. ოელსნერი, 3. უეიდი.

ბანგკოკის „ჩაო ტალი“ (ტაილანდი)

1. ლაუდა, 2. ბორგი, 3. მონზონი.

1. ევერტი, 2. აკერმანი, 3. როდნინა.

მონტევიდეოს „დიარიო“ (ურუგვაი)

1. ლაუდა, 2. ბორგი, 3. მონზონი.

1. ევერტი, 2. აკერმანი, 3. უეიდი.

ვაშინგტონის „სტარს ენდ სტრიპესი“ (ამერიკის შეერთებული შტატები)

1. მოზესი, 2. ბორგი, 3. ხუანტორენა.

1. შევინსკა, 2. ევერტი, 3. უეიდი.

ლონდონის „ნიუს ოფ უორლდი“ (ინგლისი)

1. ლაუდა, 2. მონზონი, 3. ბორგი.

1. ოელსნერი, 2. აკერმანი, 3. შევინსკა.

ბუდაპეშტის „ნეპშპორტი“ (უნგრეთი)

1. ხუანტორენა, 2. ალექსეევი, 3. მოზესი.

1. აკერმანი, 2. მორეროდი, 3. როდნინა.

რომის „კორიერე დელო სპორტი“ (იტალია)

1. მოზესი, 2. ლაუდა, 3. ტურაუ.

1. აკერმანი, 2. შევინსკა, 3. როდნინა.

როდესაც რედაქციამ შეაჯამა გამოკითხვის შედეგები, აღმოჩნდა, რომ ვაჟთა შორის 108 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა ცნობილი ავტომრბოლელი ნიკი ლაუდა (ავსტრია). 86 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა მძლეოსანი ალბერტო ხუანტორენა (კუბა), 79 ქულით მესამეზე — ჩოგბურთელი ბიორნ ბორგი (შვეცია).

ქალთა შორის დიდი უპირატესობით გაიმარჯვა მძლეოსანმა როზემარი აკერმანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — 138 ქულა. მეორეზე 60 ქულით გამოვიდა მძლეოსანი ირენა შევინსკა (პოლონეთი), 57 ქულით მესამეზე — ჩოგბურთელი კრის ევერტი (ამერიკის შეერთებული შტატები).

სპეციალისტთა პროგნოზები

ტრადიციად დამკვიდრდა: ყოველი ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ სპეციალისტები ამა თუ იმ სახეობაში უკანასკნელი წლების შედეგების ანალიზის გზით ადგენენ პროგნოზს, რომელსაც სპორტსმენებმა მომავალ ოლიმპიურ თამაშებში უნდა მიაღწიონ. ასე იყო მონრეალის ოლიმპიადამდე, ასეა ახლაც — მოსკოვის ოლიმპიადის წინ. საინტერესოა, რომ ეს მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული ვარაუდები უმეტესად მართლდება, ზოგჯერ კი სპორტსმენები უკეთეს შედეგებსაც აღწევენ.

თუ მოცურავეთა მიერ მონრეალის ოლიმპიადაში ნაჩვენებ შედეგებსა და პროგნოზებს შევადარებთ, დავინახავთ. რომ ყველა სახეობაში და დისტანციაზე (200 მეტრზე ბატერფლაით ვაჟთა ცურვის გარდა) ისინი ნავარაუდევს აღემატება.

უკანასკნელი წლები ყველა სახეობაში შედეგების სწრაფი ზრდით აღინიშნება. ეს განსაკუთრებით ცურვაშია შესამჩნევი. შედეგები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ მიუღწეველი ეჩვენებოდათ, ახლა ათობით სპორტსმენისთვისაა მისაწვდომი. ამიტომაც მწვრთნელთა წრეებში სულ უფრო ხშირად მსჯელობენ შედეგების ზრდის შესაძლებლობებზე, აკეთებენ პროგნოზებს, რაც სპეციალისტების საქმიანობის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა: ყოველი მწვრთნელი, რომელიც გუნდს დიდი შეჯიბრებისთვის ამზადებს, ცდილობს მოსალოდნელი შედეგები განსაზღვროს და აღსაზრდელი ამ შედეგებისთვის მოამზადოს.

ახლა დღის წესრიგშია მოსკოვის ოლიმპიადაზე მოცურავეების, მძლეოსნების, ძალოსნების მოსალოდნელი მაჩვენებლები. ახალი პროგნოზების მიხედვით, მაგალითად, ცურვაში მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში დაემხობა ყველა ადრინდელი ოლიმპიური რეკორდი (200 მეტრზე ბრასით ცურვის გარდა).

პრაღელი სპეციალისტი პ. ტილინგერი სხვადასხვა წლების შედეგების გაანალიზებითა და გამომთვლელი მანქანების დახმარებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოსკოვის ოლიმპიადაში ვაჟთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულმა დისტანცია 49,12 წამში უნდა დაფაროს, VI ადგილზე გასულის შედეგი კი 50,68 წამი იქნება.

ამერიკელმა ბ. გუდელმა 400 მეტრზე ცურვაში მონრეალის ოლიმპიადაზე 3.51,93-ით იმარჯვა, მოსკოვში გამარჯვებისთვის კი საჭირო იქნება არანაკლებ 3.48,96-ის ჩვენება... 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონის შედეგად ტილინგერმა 54,35 წამი დაასახელა (მონრეალში ჯ. ნეიბერმა 55,49 წამი აჩვენა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა).

ტილინგერს არც ქალები დავიწყებია. მისი ვარაუდით მოსკოვის ოლიმპიადაში 400 მ თავისუფალი სტილით ასპარეზობაში გამარჯვებულის შედეგი იქნება 4.05,55, რაც პ. ტიუმლერის (გდრ) მიერ მონრეალში ნაჩვენებ შედეგს 4,34 წამით აღემატება. ტიუმლერმა ამ მაჩვენებლისკენ ნაბიჯი უკვე გადადგა, როცა წლეულს თავისივე მსოფლიო რეკორდი 4.08,91-მდე აიყვანა.

ოლიმპიადა-80-სთვის

●

არ ჰყოფნით ცხენები

სპორტული თამაშების სასახლე „სპარტაკში“ დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვა ბალახის ჰოკეისტ ქალთა პირველად შექმნილმა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც 13 ქულა მოაგროვა 14 შესაძლებლიდან. ნაკრებმა მოუგო „ანდიჟანკას“ (ანდიჟანი), „აზერგიფკს“ (ბაქო), სკიფ-ს (მოსკოვი), „სპარტაკს“ (გორკი), „სპარტაკს“, „ფილის“ (ორივე — მოსკოვი) და ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრა მოსკოვის ოლქის სპარტაკელებთან. მათ მეტოქის კარში გაიტანეს 21, ხოლო საკუთარში მიიღეს 3 ბურთი. II ადგილზე გავიდა „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი), III ადგილი კი „ანდიჟანკას“ ხვდა.

ქალთა გუნდმა, რომელსაც სათავეში უდგას მწვრთნელი ვ. გრომაკოვი (ახლო წარსულში სსრ კავშირის ბალახის ჰოკეისტთა ნაკრების მეკარე) საინტერესო თამაში აჩვენა. ვიმედოვნებთ, რომ ოლიმპიადა-80-ში იგი ბევრ გუნდს სათანადო მეტოქეობას გაუწევს.

მოსალოდნელია, რომ 1978 წელს საბჭოთა ბალახის ჰოკეისტ ქალთა ნაკრები ამხანაგურ მატჩებში შეხვდება გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების გუნდებს. (საკდესი).

დიდ ბრიტანეთში უკვე შეუდგნენ მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილე გუნდის კანდიდატების შერჩევას. ეს საქმე დაევალა ბრიტანეთის ცხენოსნობის ასოციაციის შესარჩევი კომიტეტის თავმჯდომარეს, ამ ქვეყნის არმიის გენერალ-მაიორს ს. ბლეკერს.

მაგრამ, როგორც თვით ბლეკერმა განაცხადა, მიზნისკენ მიმავალი გზა ვარდ-ყვავილებით როდია მოფენილი. — ჩვენს ქვეყანაში ბევრი ნიჭიერი მხედარია, მაგრამ ძალიან ცოტაა კარგი ცხენი, რომელიც მოსკოვის ოლიმპიადაში გამოგვადგება — თქვა მან.

წინაღობათა გადალახვაში გუნდის ყველაზე მთავარი პრობლემა სწორედ ცხენების უკმარობაა. ნაკრების ხელმძღვანელობა ცდილობს როგორმე დაარწმუნოს თავლების მეპატრონეები და ფინანსისტები, რათა მათ საკმაო რაოდენობით გამოჰყონ ცხენები ან სახსრები გაიღონ მათ შესაძენად.

სინანული.

ა. სააკოვის ფოტო.

სტარტი ამსტერდამში

ამსტერდამში დაიწყო ქალთა IV მსოფლიო პირველობა ასუჯრიან შაშში. საბჭოთა ქვეყნის სახელით შეჯიბრებაში მონაწილეობენ: სამგზის მსოფლიო ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი ე. მიხაილოვსკაია (მოსკოვი), სსრ კავშირის ჩემპიონი ოსტატი რ. ვიტკაუსკაიტე (ვილნიუსი) და საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ოსტატი ლ. სახნინა (მინსკი).

2 ტურის შემდეგ ლიდერობენ მიხაილოვსკაია და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ჰოლანდიელი ბ. გრასი — 2-2 ქულა. 1,5 ქულა აქვს სახნინას.

II ტურში მიხაილოვსკაიამ მოუგო ვიტკაუსკაიტეს.

ჰერენვენი. აქ ხელოვნურსაფარიან ბილიკზე საბჭოთა და ჰოლანდიის მოციგურავე ქალთა მატჩში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 143,5:108,5. ყველაზე კარგად იასპარეზა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მოსკოველმა ტ. ავერინამ, რომელიც პირველი იყო 500 და 1000-მეტრიან დისტანციებზე, ხოლო მეორე — 1500 და 3000 მეტრზე. ამ უკანასკნელ დისტანციებზე ყველას აჯობა ლენინგრადელმა გ. სტეპანსკაიამ.

იუნიორებში თავი გამოიჩინა 17 წლის ჩელიაბინსკელმა ა. ბუგრეევამ, რომელმაც სამ დისტანციაზე გაიმარჯვა (საკდესი).

მეგობრის ხსოვნას

არიან ადამიანები, რომელთა სამსახურებრივ ნუსხას დიდი თანამდებობები და ტიტულები არ ამშვენებს და მაინც საკუთარი და საპატიო ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში. ასეთი იყო ენვერ იოსების ძე ქელბაქიანი.

დაიბადა 1927 წელს. გაიზარდა ობლობაში. 1949 წელს დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი. დიდხანს მუშაობდა მარჯანიშვილის სახელობისა და მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრებში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. ბევრი დასამახსოვრებელი სახე შექმნა. უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით კრივი. კარგი მონაცემებიც ჰქონდა. რამდენჯერმე იყო რესპუბლიკის სხვადასხვა სპორტსაზოგადოების ჩემპიონი.

ამ სიყვარულმა პრესაში მოიყვანა. წერდა სპორტულ თემებზე. გახდა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი. კრივის პოპულარიზაციისათვის ბევრი რამ გააკეთა. იყო მრავალი ფელეტონის ავტორი. ამასთან ჟურნალისტთა სპორტულ ცხოვრებაშიც გარკვეული წვლილი შეჰქონდა — იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სპორტულ ღონისძიებათა უფროსი ინსპექტორი.

დედაქალაქის ჟურნალისტებმა, გამომცემლობის მუშაკებმა, სპორტსმენებმა, ყველამ, ვინც ენვერ ქელბაქიანს იცნობდა, დაკარგა შესანიშნავი მეგობარი, რომლის ხსოვნა ნათელ მოგონებად დარჩება მათ გულებში.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.

მოსკოვი. კანადელი ჰოკეისტების, მათი მწვრთნელის მ. ბუალოს თქმით, „იზვესტიის“ ტურნირზე“ უკიდურეს შემთხვევაში სამ მატჩში მაინც აპირებდნენ გამარჯვებას, მაგრამ მათ წააგეს პირველი ორი შეხვედრა — საბჭოთა (3:5) და შვედ (2:6) ჰოკეისტებთან. მესამედ კი ფინეთის ნაკრებთან მატჩში ფრეს (6:6) მიაღწიეს.

ტელეტაიპის ლენტიდან

ლენინგრადი. კრივში ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედლისთვის ბრძოლაში 15 მოკრივე ჩაება. შეჯიბრების პირველ დღეს ტაშკენტელმა გენადი კოკურინმა დაამარცხა მოსკოველი იგორ ვისოცკი, მოსკოველმა პეტრე ზაევმა — ბაქოელი იგორ არაქელოვი, ხოლო შარშანდელმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ევგენი გორსტკოვმა — ტალინელი ვიქტორ კლიუკინი.

მასპინძელი

საბჭოთა სპორტსმენებს წლევანდელი ზამთრის სეზონში ორი დიდი საზრუნავი აქვთ: ვიდრე ქვეყნის ზამთრის IV სპარტაკიადაში ჩაებმებოდნენ ფინეთის ქალაქ ლაჰტში უნდა იასპარეზონ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც აქ 17-26 თებერვალს გაიმართება.

ამ ტურნირისათვის საბჭოთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ცნობილი გახდება რბოლებში სსრ კავშირის თასის გათამაშების შემდეგ. ეს შეჯიბრება კი იანვრის დამლევს ბაკურიანში ჩატარდება.

ლაჰტში პირველად როდი ეწყობა მსოფლიო ჩემპიონატი რბოლებში. მსგავს ტურნირებს მან უკვე უმასპინძლა 1926, 1938 და 1950 წლებში. ამიტომაც აქ მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურეთა ფორუმის ჩატარების საკმაო გამოცდილება აქვთ, მაგრამ ახლა ასეთი დიდი შეჯიბრების გამართვისათვის მხოლოდ ძველი ტრადიციები მაინცდამაინც საკმარისი არ უნდა იყოს — მოთხოვნები შეიცვალა, უფრო საფუძვლიანი გახდა.

ჩემპიონატისათვის ლაჰტში სათხილამურო კომპლექსი მთლიანად გადააკეთეს — აიგო მაყურებელთათვის ახალი დიდი ტრიბუნა, ტრამპლინი, დამონტაჟდა ელექტროტაბლო, მოეწყო ახალი 40 კილომეტრიანი სათხილამურო ტრასა. ყველაფერი ეს 25,5 მილიონი ფინური მარკა დაჯდა, თვით პირველობის ჩატარებისათვის კი 10 მილიონი მარკაა საჭირო. თუ ამას სპორტსმენებისთვის სპეციალური სოფლის აგების ხარჯებს დავუმატებთ, ნათელი გახდება მსოფლიოს 32-ე ჩემპიონატის მასშტაბი.

ლაჰტი საკურორტო ქალაქი არ არის და ამიტომ იქ არც სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებია, რომელთა გამოყენება ჩემპიონატის დღეებში შეიძლებოდა. ამ ქალაქის მოსახლეობაც ასი ათასს ვერ აღწევს, ამიტომაც უამრავი სიძნელეები იქმნება ჩემპიონატის სტუმრების გასამასპინძლებლად, მათ კი საკმაოდ ელოდებიან.

სწორედ ეს გაითვალისწინეს ორგანიზატორებმა და მსგავს ღონისძიებათა ისტორიაში პირველად აგებენ სპორტულ სოფელს (აქამდე სპორტული სოფლები მხოლოდ ოლიმპიადებისათვის შენდებოდა). სოფლის აგება შესაძლებელი იმიტომაც გახდა, რომ აქ 1978 წლის ზაფხულში მოეწყობა სახელმწიფო არქიტექტურული გამოფენა.

სპორტული სოფელი ქალაქის ცენტრიდან ხუთი, ხოლო ახალი სპორტული კომპლექსიდან ერთი კილომეტრით იქნება დაშორებული. იგი საგრძნობლად გააიოლებს ჩემპიონატის მონაწილეთა მომსახურებას.

ჯერ კიდევ პრობლემად რჩება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების საცხოვრებლებით უზრუნველყოფა. ჩემპიონატზე 1000-მდე ჟურნალისტს მოელიან (შარშან ზამთარში 32-ე მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე 400-ზე მეტი კორესპონდენტმა მოიყარა თავი).

გადაწყდა: პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა სასტუმროებსა და კერძო ბინებში იცხოვრონ, პრეს-ცენტრი კი გამართონ სპორტის სასახლეში, რომელიც სათხილამურო კომპლექსიდან 800 მეტრითაა დაშორებული. პრეს-ცენტრში იმუშავებს 40 ტელეტაიპი და 50 სატელეფონო ხაზი, აქვე იქნება ფოტოლაბორატორია და სხვა ატრიბუტები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

27 დეკემბერს

ალპური კლუბის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქ. № 37, კიროვის სახელობის პარკი) მოწვეულია საქართველოს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მორიგი მეორე პლენუმი.

დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.